# ჩანგი

№ 43

სამშაბათი, 25 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტის სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ სადამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალური წერილები შესაძლოა შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილები სუფთად უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოცვლისათვის საჭიროა ორი აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань", Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:
როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან
ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань", Калистрату Конст. Цуладзе.

უფლებიანი სავაჭრო სკოლა ვაჟებისა და ქალებისათვის. | საბუღალტერო კურსები მოზრდილ ქალთა და ვაჟთათვის.

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა.

გამოცდები 24 და 28 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს. | მიიღება ითხოვენები. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.

ავჭალის ქუჩის თავი, 1 თუმანოვის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 13. (2—1)

გაიხსნა ახალი
თფილისის
### კერძო სამკურნალო
ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფიდლოლია: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პაპავა: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკარაძე: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიხამინძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 60 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—44

ქ. ქუთაისში
### თ. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის, აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი
### „გუთანი",
შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—12)

კბილის ექიმი
### ი. შ. ჭანტურია
იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ნაფიცი ვექილი
### ნიკო ელიავა
გადავიდა ოლგინსკი ქუჩაზე, სახლი № 47. 3—2

### აბასთუმანში
კბილის ექიმი
სამსონ ვაშაყმაძე
იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

გვესაჭიროება ერთი საუკეთესო ხელობის „პოვარი" და ერთი ლაქია. ვისაც სურს და შეუძლია ამ აღნიშნული საქმის ასრულება, ვთხოვ გამოცხადდეს ქ. ფოთში ხიდკარის ჯროსზ. გრამატიკოვჭულოს სახლში.

ჯამაგირი დაენიშნება გამოცდის შემდეგ. მსურველი გადდებულია გამოცხადდეს არა უგვიანეს 29 აგვისტოს.

(1—1) ლ. მეგრელიძე.

ივ. გომელაურის შედგენილი წიგნი სკოლებში შესასწავლი
### ქართველი მწერლები
წიგნი პირველი, მეორე გამოცემა. იყიდება თფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნი ყდით ღირს 70 კ., მაღაზიებს დაეთმობა 20 პროცენტათ. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა" ფ. 4 კ. (5—2)


### თფილისი, 25 აგვისტო

თანამედროვე ბიუროკრატიულ სახელმწიფოს რომელ მხარესაც გინდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება, ყველგან და ყველაფერში მოუწყობლობა-უვარგისობას დავინახავთ. იგი მთელი თავისი დანიშნულებით, მთელი თავისი მოქმედებით ხალხის უმრავლესობის კეთილ-დღეობის, მის ეკონომიურ და სოციალურ განვითარების, კულტურულ და საზოგადოებრივ აღორძინების უარმყოფელია. მისი ვიწრო ჯგუფურ-წოდებრივი ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ—ფეოდალურ-არისტოკრატიული ინტერესები, ფეოდალურ-არისტოკრატიული მისწრაფებანი ნებას არ აძლევს შექმნან და შემოიღონ ისეთი დაწესებულებანი, ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობდენ მთელ საზოგადოების, ყოველ კერძო ოჯახების თუ ინდივიდუმების აყვავება-გაფურჩქვნას. მისთვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ურთიერთობა მხოლოდ იარაღია, საშუალებაა, რომლითაც იგი იკმაყოფილებს თავის წოდებრივ მოთხოვნილებას: მისი ისტორიული მისია, ისტორიული დანიშნულება ხალხის და საზოგადოების ინტერესების უარყოფაში გამოიხატება; მან არ იცის, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის საზიარობა, ერთიანობა არსებობს. ყოველი თითოეული ინდივიდუმი ან ჯგუფები ნაწილია სახელმწიფოს, ნაწილია საზოგადოების, მიკროკოსმისი ორგანიზმისა, რომელიც პირ-ადებით ასეთ მიკროკოსმოსებიდან (პატარა ნაწილებიდან) შესდგება. თუმცა თითოეული ინდივიდუმი (პირი) მთელი თავის ორგანიზმით დამოუკიდებელია, დამოუკიდებელი არსია, მაგრამ იგი, როგორც ნაწილი საერთო რთულ და დიდ ორგანიზმიდან მთელი თავის აზროვნებით, გრძნობით და ნივთიერი მდგომარეობით დამოკიდებულია მისგან, მიისწრაფის მისკენ, ემარჯვება მასთან საერთოთ ცხოვრება და სხვა.. ტყუილათ კი არა სთქვა ძველმა საბერძნეთის უდიდესმა ფილოსოფოს-მეცნიერმა — არისტოტელმა, რომ ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო (წოონ პოლიტიკონ). და ეს გენიალური გამოთქმა სრულიად შეეფერება თანამედროვე სახელმწიფოს და კერძო პირებს შორის არსებულ ურთიერთობას. სახელმწიფოში და სახელმწიფოს მეოხებით, საზოგადოებაში და საზოგადოების მეოხებით ადამიანი ადამიანათ იქცევა, კაცათ ხდება. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ატმოსფერა, როგორც ფიზიკური ჰაერი, აუცილებლათ საჭიროა მის არსებობისათვის. და ასე უკუღმა: თითოეული არსის ფიზიკური და ეკონომიური ყოფნა, მისი კეთილდღეობა აუცილებელია პირველისთვის, ე. ი. სახელმწიფოსთვის. უკეთუ თითოეული ინდივიდუმი ან ოჯახი ნივთიერ-კულტურულათ ღონიერი და შეძლებული არ არის, მაშინ სახელმწიფოს და საზოგადოების ცხოვრება შეტოკებულია, მისი არსებობა ნაშალ ნიადაგზეა დამყარებული. ამისათვის თანამედროვე და დემოკრატიულ მიმდინარეობის მთავარი დანიშნულებაა არსებული სახელმწიფო, როგორც ბატონობის ინსტიტუტი, კულტურულ ინსტიტუტათ შესცვალოს, სახელმწიფო ერთგვარ საზოგადოებრივ დაწესებულებათ გადააქციონ, რომელიც ჭეშმარიტ კულტურას გაავრცელებდა ხალხში, კულტურულ მოვალეობას იკისრებდა და მით უზრუნველ-ყოფდა თითოეულის და საზოგადოების ბედნიერ ცხოვრებას. ამგვარათ, არის მთელი რიგი კულტურულ მოვალეობის, კულტურულ დანიშნულებისა, რომელიც ეკისრება თანამედროვე სახელმწიფოს ხალხის საბედნიეროთ გაკეთება, იგი მოვალეა იურიდიულათ და ზნეობრივათ ამ გვარი მოვალეობანი შეასრულოს. მაგრამ ბიუროკრატიული სახელმწიფო, როგორც ვსთქვით, მთელი თავისი შედგენილობა-დანიშნულებით ვერ მოქმედობს ასე, ვერ ასრულებს ვერც ერთ თავის მოვალეობას. სამაგალითოთ, ავიღოთ თუნდაც სახელმწიფოებრივი დაზღვევა. მთელ რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა გუბერნიებში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ცეცხლის სტიქიამ ლამის მთლათ გაანადგუროს მთელი სოფლები, ქალაქების ზოგიერთა დიდი სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებები. დღე ისე არ გავა, რომ ტელეგრამამ ამბავი არ მოიტანოს ამა თუ იმ სოფელში ცეცხლმა გადასწვა ყველაფერი და ასობით და ათასობით მცხოვრებნი უსახლ-კაროთ დასტოვაო. სავსეა ასეთი ცნობებით ტელეგრამის ბილიუტინები, მაგრამ დღევანდელ ბიუროკრატიულ მთავრობას დღევანდლამდის არ აქვს შემუშავებული საზოგადო ზომა, არ აქვს დამზღვევებელი ინსტიტუტი (დაწესებულება), რომლის საშუალებით იგი იხსნიდა ხალხს ასეთი უბედურებისგან; არ არსებობს საყოველთაო იძულებითი დაზღვევა, რომელიც აუნაზღაურებდა ხალხს ცეცხლისაგან განადგურებულ ქონებას. თუმცა რუსეთის მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში არსებობს ეგრეთ წოდებული დამზღვევი კერძო საზოგადოებები, მაგრამ ესენი არ არიან ისეთი უფლებით აღჭურვილი, რომლებიც აიძულებდა მცხოვრებს დაზღვევისათვის; მეორეც, ამათი მოქმედება უმთავრესათ ქალაქის, ისიც დიდ ქალაქების ცხოვრებით განისაზღვრება, დიდ ქალაქებში შენობებს იზღვევენ. სოფლად ან სრულიად არ ასრულებენ თავიანთ დამზღვევ ოპერაციებს, ან და სრულიად უმნიშვნელოდ, ისე რომ სათქმელ-სახსენებლათაც კი არა ღირს. აქა-იქ თავად-აზნაურთ და დიდ მემამულეებს აქვთ თავიანთი შენობები დაზღვეული, თორემ გლეხებს წარმოდგენაც არა აქვთ მის მნიშვნელობაზე.

სასოფლო სამეურნეო წარმოებით მცხოვრებ ხალხისათვის და საერთოთ მთელი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებისათვის, ცეცხლისაგან დაზღვევას ისეთივე დიდი და უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქალაქებისთვის. სოფლათ ცეცხლის სტიქიას მეტი ზარალი და ვნება შეუძლიან მიაყენოს ხალხს, ვიდრე ქალაქად, რადგან, პირველში შენობებს და საცხოვრებელ ქონებას გაცილებით ადვილათ და სწრაფათ ეკიდება ცეცხლი, ვიდრე მეორეში. ამისათვის, სახელმწიფომ თითონ უნდა იდვას სოფლების და ქალაქების ცეცხლისაგან დაზღვევა, თითონ უნდა გამოსცეს იძულებითი დამზღვევი კანონები, რომელიც აიძულებდათ დააზღვიონ თავიანთი მოძრავი და უძრავი ქონება. და როცა ასეთი დაზღვევით კანონი ყველასთვის სავალდებულო იქნებოდა, მაშინ გადამწვარ-გადაბუგულ მცხოვრებთათვის ადვილი და გადასატანი იქნებოდა ცეცხლის სტიქიის დუხჭირობა—მისი უბედურობაც. სახელმწიფო დამწვარ ოჯახს სრულიად დაუბრუნებდა დანაკარგ ქონებას. ეს არის ერთათ ერთი გზა, ერთათ ერთი საშუალება, რომლითაც უნდა ებრძოლოს სახელმწიფომ ცეცხლის სტიქიას, ხალხის ცეცხლისაგან განადგურებას, მაგრამ დღეს როგორც ვამბობდით, ბიუროკრატიულ მთავრობას ამისთვის არ სცალია, ეს მცხოვრებლებიდან იძულებითი დაზღვევას კი არ მოითხოვს, არამედ იძულებითი სახელმწიფო გადასახადს, რომელსაც თავის მოთხოვნილებებზე ხარჯავს.

## დეპეშები
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)
24 აგვისტო.

### სპარსეთი.

**ყაზვინი.** ქურთებთან მომხდარი ინციდენტი მშვიდობიანათ გათავდა. ქურთების მეთაურებმა ბოდიში მოიხადეს რუსის ვიცე-კონსულთან და დაუბრუნეს ქურთების მიერ წართმეული ცხენები.

არდებილიდან თავრიზისკენ წავიდა რუსეთის საქონლით დატვირთული ხუთასი აქლემი. ქარავანს რუსეთის ხაღჩოს ყაზახები იცავენ. გზის გახსნიდან თავრიზში მოვიდა რვაასი აქლემი.

**თეირანი.** გამოცხადებული ამნისტია სასტიკი ხასიათის არის, აღუთქვამს დატუსაღებულთა ჩქარა გასამართლებას, თექვსმეტი კაცს გაძევებას, ახალი წესწყობილების შეხებისთვის სასტიკ სასჯელს უქადის ყველას, დაბოლოს, უკრძალავს ყველას ამნისტიის იმედით არ სთქვან უარი სახალხო საქმისთვის ფულების გადახდაზე, ამნისტიამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** სულთანი დაბრუნდა ბრუსსიდან. ხალხი აღტაცებით ეგებება.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** უკანასკნელ ხანებში ხმა გავრცელდა თითქოს რუსეთის მთავრობა ერთ მილიარდ ფრანკს სესხს ღებულობდეს და რომ დაინტერესოს ზოგიერთ ფულის ბაზრის სინდიკატთა წარმომადგენელნი აღუთქვეს რკინის გზის, მთა-მადნის და ხე-ტყის კონცესიები. ამის გამო ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ყველა ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია.

**პეტერბურგი.** ნახევარ კუნძულ ოხთაზე შეიარაღებულ თავდასხმისთვის ექვს კაცს, რომელთაც სიკვდილით დასჯა კონდათ გადაწყვეტილი, სასჯელი ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით შეუცვალეს, წლი ნახევრიდან ოთხ წლამდე.

**სარატოვი.** სლავინკაში დაიწვა 63 მოსახლე.

**კიევი.** სადგურ კიევი—პირველის ახლოს დაიმტვრა საქონლის მატარებელი.

**სმოლენსკი.** როსლაველში გაიხსნა საერობო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

**კიევი.** ნავთსადგურში ცეცხლმა გაანადგურა შეშის საწყობები დაიწვა 600 საჟენი შეშა.

**ვოლოგდა.** საგუბერნიო და სამაზრო ერობათა თათბირმა განიხილა სამინისტროს პროექტი მოუსავლობით დაზარალებულთა დახმარების შესახებ. თათბირმა დაადგინა ეს საქმე ერობებს გადაეცეს, იმ პირობით, რომ შემოღებულ იქნას წვრილი ერობათა ერთეული.

**ალექსანდროვსკი.** მიწების მომწესრიგებელმა კომისიამ დაადგინა მოახდინოს 11,000 დესეტინა სახელმწიფო მიწის ლიკვიდაცია და დაანაწილონ 600 ნაწილათ. მსურველი 3000 ოჯახზე მეტია.

**ჰელსინგფორსი.** დღეს დილით მოვიდა გემი „ხანს ეგედე". ექიმ კუკ ოფიციალურად შეხვდა, გრენლანდიის მართველი რიბერგი. კუკი აცხადებს, მას მეცნიერულათ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ჩრდილოეთ პოლიუსს მიაღწია. მას მშვენიერი საზომავი მანქანები ქონდა და ყოველ დღე ზომავდა. დღეში აკეთებდა 19 კილომეტრს. სულ მოგზაურობდა თებერვლიდან აპრილამდე. ეს დრო ზაფხულზე უკეთესია, რადგან ყინვა მაგარია.

**მოსკოვი.** სერპუხოვის საერობო საგანგებო კრებებზე დაადგინეს გახსნან რვა სკოლა და ყველა საერობო სკოლებში სწავლა უფასოთ სწარმოებდეს.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი სადამოჟნო დეპარტამენტის შტატის შესახებ: სხვათა შორის პროექტში ძირითად დებულებათ მიღებულია: დაბალ მოხელეების ჯამაგირების გადიდება და დიდ მოხელეების ჯამაგირის დაკლება და სხ. ამ მიზნის განსახორციელებლათ საჭიროა 39,556 მანეთის მომატება.

**კიევი.** მოვიდა სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზის მოქმედების გამომკვლევი საანკეტო კომისია.

**პეტერბურგი.** დღეს საღამოს 9 სათზე ვიბორგის მხარეზე, ფლიუგოვის შესახვევში მძარცველები თავს-დაესხენ იპოდრომის კასირს, რომელსაც თან მიქონდა 20,000 მანეთი. აუტეხეს სროლა და დასჭრეს კასირი კისერში. მისმა მხლებელმა „სტრაჟებმა" მოაბრუნეს ცხენი და უკან გაიქცენ, მძარცველები მიიმალენ. დაჭრილი კასირი საავათმყოფოში წაიყვანეს.

**ეკატერინბურგი.** ჩერედინის საერობო თათბირმა დაადგინა გახსნას შემოდგომაზე კერძო რეალური სასწავლებელი.

**გუნიბი.** საუცხოვო ამინდია. ნამესტნიკის მოსვლისთვის ემზადებიან.

**კიევი.** გაიხსნა იხტიოლოგიური გამოფენა.

**ვარშავა.** მოიჯარადრეები დაეთანხმენ ქვის მუშებს სამედიატორო სასამართლოზე. გუშინ ყველგან დაიწყეს მუშაობა.

**სამარა.** აკურთხეს ვაჭარ სოკოლოვების მიერ ახლათ გახსნილი თავშესაფარი. თავშესაფარი სულ 200,000 მანეთი დაჯდა. ხარჯებისათვის გადადებულია 30,000 მანეთი.

**ვიატკა.** გაიხსნა საერობო ექიმთა სიეზდი. სხდომები დახურულია.

### ხოლერა.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 28, მოკვდა 9, ავათ არის 289.

**არხანგელსკი.** ერთი კვირის განმავ-

ლობაში ავათ გახდა 5, მოკვდა 1; მაზრაში ავათ გახდა 5, მოკვდა 1.

**რიგა.** სამ დღე და ღამეში ავათ გახდა 22, მოკვდა 8.

**ვოლოგდა.** ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 16, მოკვდა 9.

**მუნგუნბურგი.** ავათ გახდა 1, მოკვდა 1.

**დვინსკი.** ერთი კვირის განმავლობაში ქალაქში ავათ გახდა 24, მოკვდა 16, მაზრაში 8.

**დრისსა.** ერთ კვირაში ავათ გახდა 9, მოკვდა 2.

**კრონშტადტი.** 20 აგვისტოდან ავათ გახდა 1, 21-ს 1.

**ნოვგოროდი.** ერთ კვირაში გუბერნიაში ავათ გახდა 35, მოკვდა 7.

**პოლტავა.** ხროლსკის მაზრაში 20 აგვისტოს ავათ გახდა 5, მოკვდა 2.

**ტვერი.** 16—22 აგვისტომდე ქალაქში ავათ გახდა 30, მოკვდა 6, კორჩევსკის მაზრაში ავათ გახდა 36, ვესიეგონსკის 3, ნოვოტორჟსკის 1, ტვერსკის 2.

**იაროსლავლი.** რიბინსკში ავათ გახდა 8, მოკვდა 4; რიბინსკის მაზრაში 4, მოკვდა 2; მოლოგსკის მაზრაში 3, მოკვდა 3; რომანოვოში 3, მოკვდა 2.

**პოლტავა.** გადაჩსკის მაზრაში 1, ხროლსკის 1, კრემენჩუგში 7, ხროლსკის მაზრაში მოკვდა 30, კრემენჩუგში 2, პოლტავის და კრემენჩუგის მაზრებში ავათ გახდა ორი.

**სამარა.** ავათ გახდა სამი.

### საზღვარ-გარეთ

**ნევერი.** ნაშუადღევის სამ საათზე აქ დაეშვა ჰაეროსტატი „რეპუბლიკი“. დღეს დილით ის ლაპლასისკენ წავა.

**კატანია.** ქარ-ბუქის დროს განადგურდა ასი ოჯახის სახლ-კარი. მოკვდა ოთხი კაცი, მძიმეთ დაიჭრა ათი, მსუბუქათ ორმოცი.

**პარიჟი.** ჰაეროსტატი „რეპუბლიკი“ ძირს დაშვების დროს ხეს მოედო და დაზიანდა. მას ისევ პარიჟში წაიღებენ.

**გააგა.** ნიდერლანდის გუბერნატორის მიერ გამოგზავნილ ცნობებით კუნძულ იავოზე წყალ-დიდობამ 17 აგვისტოს დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ. დაიღუპა 500 კაცი. დაინგრა მრავალი სახლი, რკინის გზა და სხვა.

**მექსიკა.** მორელიიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ საშინელმა წვიმამ სულ-ყველაფერი წალეკა. ზარალი დიდია.

**შანხაი.** პრინც რეგენტმა მისწერა ზღვის ნაპირის პროვინციების მმართველთ დაუყონებლივ შეკრიბონ ოცდა ათი მილიონი ტაელი ფლოტის რეორგანიზაციის საჭიროებისთვის. ფინანსთა სამინისტროს აზრათ აქვს კიდევ გადასდვას ამ საქმისთვის ხუთი მილიონი.

**კოპენჰაგენი.** ექიმ კუკის მოლოდინში ნავთსადგურში აურებელმა ხალხმა იწყო დენა. მოვიდა აგრეთვე მემკვიდრე პრინცი, სავაჭრო მინისტრი, ამერიკის ელჩი და მრავალი ჟურნალისტები. ათ საათზე ნავთსადგურს მოადგა გემი „ხანს ეგედე“. მემკვიდრე პრინცმა სიტყვით მიმართა კუკს. როცა კუკი გამოჩნდა“ ხალ ხმა ურა შესძახა. პოლიციელების დახმარებით კუკი გადმოვიდა გემიდან და გაიარა ხალხში და წავიდა სასტუმროსკენ.

**სტოკჰოლმი.** დღეს მრავალ წარმოებაში მუშაობა დაიწყეს. სტამბების კავშირის კომიტეტმა აღუკრძალა თავის წევრებს ჯერ-ჯერობით მუშაობა.

**ფრიდრიხსჰაფენი.** ცეპელინის მოწვევით მოვიდა რეიხსტაგის მრავალი წევრი, მოკავშირე საბჭოს წევრები და მინისტრები. მათი თანადასწრებით ცეპელინი აფრინდა ჰაერში.

**ტოკიო.** პეკინში ხელი მოაწერეს ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულობას.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**ფულის გადახდა.** სამოცმა მდიდარმა სურვილი განაცხადა გადასცეს დროებით მეჯლისს სამი მილიონი მანეთი.

**პოლიტიკური სკოლა.** თეირანში გაიხსნა პოლიტიკური სკოლა. უკვე დაიწყეს მოწაფეების მიღება. სკოლაში ასწავლიან უმთავრესათ პოლიტიკურ მეცნიერებას.

**იარაღის აკრძალვა.** მცხოვრებთ სასტიკათ აუკრძალეს იარაღის ტარება. ვინც დადგენილებას დაარღვევს სამხედრო სასამართლოს გადაეცემა.

**რუსები ყაზვინში დაბინავდენ.** როგორც სჩანს, რუსეთის ჯარი საბოლოოთ დაბინავდა ყაზვინში. საჩქაროთ აგებენ ახალ-ახალ ყაზარმებს, საავათმყოფოებს და სხვ.

რუსეთის ელჩმა გამოუცხადა ქალაქის ყველა მცხოვრებთ, როგორც რუსებს ისე უცხოელებს და სპარსელებს, რომ ყველა საქმეებისთვის მათ რუსეთის საკონსულოს უნდა მიმართონ.

**ყოფილი შახი რაღაცას აპირებს.** როგორც გამოირკვა ყოფილ შახს მაჰომედ ალის ჯერ კიდევ იმედი არ დაუკარგავს დაიბრუნოს ტახტი და ამისთვის სხვა და სხვა ოინებს აკეთებს. როგორც ჯენჯანიდან მოსულ დეპეშებიდან სჩანს, იქ დაუჭერიათ შახის მსახური მერენი-კარი, რომელიც იქ მისულა მაჰომედ-ალის დავალებით. მას ალყა შემოარტყეს ჯაიხანის დარაჯებმა, რომელნიც იმედს იძლევიან ან მკვდარი და ან ცოცხალი მიიყვანონ ის თეირანში.

თეირანში ფიქრობენ, რომ მაჰომედ-ალის შეთქმულობას გამოამჟღავნებენ.

### ოსმალეთი.

**ექს-სულთანი ჭკუაზე კდება.** გაზეთ „მატინს“ ატყობინებენ: ყოფილი სულთანი აგერ-აგერ შეიშლება. ღამე სრულიათ არ სძინავს, ზის ღია ფანჯარასთან. დილამდის სტამბოლის გზას გასცქერის. ხშირათ ის უაზრო განკარგულებას იძლევა და სასაცილო ნივთებს თხოულობს. როცა მარტო რჩება, საშინელ ხმაურობას ასტეხს ხოლმე და თავის მდგომარეობაზე მოსთქვამს. ხშირათ ღამე ლოგინიდან წამოხტება და ოთახში ბოლთას სცემს, ხშირათ უეცრათ აღელდება, მაგიდას მუშტს დაუშენს, კვნესის, ოხრავს და გასაგონათ ქვითინებს. ხშირათ უძახის თავის ცოლებს და უბრძანებს, რომ ბანქოთი ურჩიონ. ხანგამოშვებით მეტისმეტი სიმხიარულე იპყრობს და ხმა მაღალ სიცილ-კასკას მორთავს. ქვეშ-საგებში მუდამ ტან-გაუხდელი წვება. მას ყველაზე უფრო სიბნელის ეშინია, რადგან დარწმუნდა, რომ სწორეთ ღამით მოკლავენ მას.

**მღელვარება ჯარში.** ამას წინათ ვწერდით, რომ ათინაში მთელმა გარნიზონმა აჯანყება მოახდინაო. აჯანყება ასე მომხდარა: გარნიზონი საომარი წესით ქალაქიდან გასულა; ქვეითთა ცხენოსან ჯარს არტილერისტები და მეზღვაურებიც შეერთებია, რიცხვით 3,000-მდე. მეამბოხეებმა კაროლს ულტიმატუმი გაუგზავნეს, რომ დაუყონებლივ ტახტიდან გადადგეს. საზოგადოებრივი აზრი ჯარის მხარეზეა. ყველა იმ აზრის არის, კაროლი ჯარის მოთხოვნას აასრულებს და თან საერთო ამნისტია გამოცხადდებაო.

**განხეთქილება ახალგაზდა ოსმალთა შორის.** თუმცა „ერთობა და პროგრესი“-ს კომიტეტი უარს ყოფს გავრცელებულ ხმებს ახალგაზდა ოსმალებში განხეთქილების შესახებ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, დაბეჯითებით ამბობენ, რომ ახალგაზდა ოსმალებში შესდგა მემარცხენე ფრთა, რომელსაც მონასტირში აქვს უმთავრესი ბინაო.

**საშიში მდგომარეობა ოსმალეთში.** დღევანდელი მდგომარეობა ოსმალეთში მეტათ საშიშოა. მთელ ქვეყანას ჯადოსავით აწევს თავს მაჰმუდ-შევკეთ ფაშას დიქტატურა. საალყო წესები სტამბოლში ისევ გაგრძელებულ იქნა პარლამენტის სურვილის წინააღმდეგ, რომლის 50 წევრმა ამის შესახებ შეკითხვა შეიტანა. შეკითხვაზე პასუხი არ მიუღიათ, რადგან შევკეთ-ფაშა პარლამენტის დანგრევას დაემუქრა. ნოემბერში სესიის გახსნას დიდი კონფლიქტი მოყვება პარლამენტსა და სამხედრო დიქტატორს შორის, რომელიც თვით პარლამენტის არსებობასაც ემუქრება.

**აჯანყება იემენში.** იემენიდან ყოველ დღე საშიში ცნობები მოდის. არაბებმა გასწყვიტეს ოსმალთა ჯარის 6 ბათალიონი. იემენის ვალი ატყობინებს მთავრობას, რომ თუ მას დაუყოვნებლივ არ გაუგზავნეს 50,000 სალდათი ზარბაზნებით და სხვა, ის იძულებული იქნება მიატოვოს იემენი და გაიყვანოს იქიდან დარჩენილი ჯარი. მთავრობას ძალიან უჭირს იშოვნოს ისეთი ჯარი, რომელიც თანახმა იქნება წავიდეს იქ. ამ კვირაში გზავნიან 6 ბათალიონს და ნაღმოსნებს.

**აჯანყება ალბანიაში.** აჯანყება ალბანიაში თანდათან ფართოთ ედება მთელ მხარეს. აჯანყებულთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. აჯანყებულების გამარჯვებას მის წინააღმდეგ ისსა—ბოლეტინაფურს აწერენ, რომელიც ჯერაც ვერ ჩაუგდია ხელში მთავრობას.

ჩრდილოეთ ალბანიაში საქმე ცუდათ მიდის. რეგულიარული ჯარი გაფანტეს. ხალხი აჯანყდა. ფეირიზოვიჩის ახლო ჯარმა დიდი ზარალი მიაყენა აჯანყებულებს. ბერანსა, ბებლენს და რუგოვოის მცოვრებნიც აჯანყდენ. მოხდა რამდენიმე შეტაკება. მოკლულია მრავალი სალდათი. უკანასკნელ კვირაში თოფხანაში დაატუსაღეს 9 აფიცერი, გეფგელში 6; მათ აღმოაჩნდათ საბუთები, რომ ისინი ალბანელ ავტონომისტთა პარტიას ეკუთვნიან. ყველანი ალბანელები არიან. აღმოაჩინეს პროკლამაციები, რომლითაც მოუწოდებენ ალბანელებს იარაღით ხელში მოეთხოვათ ავტონომია.

**ბოიკოტი ბერძნების წინააღმდეგ.** მიუხედავათ იმისა, რომ ოფიციალური წრეები უარს ყოფენ, ბერძნების წინააღმდეგ ბოიკოტი ისევ გრძელდება.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგის ქალაქის არჩევნები და მუშები.** პეტერბურგის ქალაქის საბჭოს არჩევნები პეტერბურგის მუშათა წრეებში დიდს ინტერესს იწვევს. ზოგიერთ პროფესიონალურ ორგანოებში წერილები მოათავსეს არჩევნების შესახებ. მოხდა ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც საჭიროთ სცნო კრებებზე და მუშათა პრესაში აუხსნან მუშებს მუნიციპალური კითხვების მნიშვნელობა, ქალაქის თვითმართველობის დემოკრატიზაცია და მისი რეორგანიზაცია ადმინისტრაციისაგან სრულიად დამოუკიდებლობის პრინციპზე.

**საშიშარი უბედურება მაღაროებში.** ქ. დიმიტროვის მაღაროებში ამ დღეებში საშიშარი უბედურება დატრიალდა. მიწის თხრის დროს გამოჩნდა წყალი და ორივე მაღარო გაივსო. ამ დროს იქ მუშაობდა რამდენიმე მუშა.

ჯერ-ჯერობით ამოიღეს 25 მუშის გვამი.

მაღაროს ახლოს საშინელი სცენები ხდება. დაღუპულთა დედები, ცოლები და ბავშვები საზარლათ გოდავენ. დაღუპულთა გადასარჩენათ [illegible] მუშაობაა.

**სად არის აზეფი?** გაზ. „მატინს“ ატყობინებენ ქრისტიანიიდან, რომ რამდენიმე რუსმა აქ აზეფი ნახაო. როცა აზეფმა შეამჩნია, რომ მას [illegible] ადევნებენ, სადღაც ავტომობილით მიიმალა. კორესპონდენტი ირწმუნება, რომ აზეფის მნახველი რუსები დარწმუნებული არიან, რომ მათ ნამდვილათ იცნეს „სახელ განთქმული“ პროვოკატორი.

**პროვოკატორი ჟუჩენკო** როგორც ვწერდით, ბურცევმა კიდევ ერთი პროვოკატორი ქალი გამოააშკარავა. ეს არის ვინმე ზინაიდა ჟუჩენკო. „რუს. ვედ.“ კორესპონდენტს პირადათ უნახავს ის ბერლინში. მას დაუდასტურებია ბურცევის ცნობა მის შესახებ და თან დაუმატებია: მე წინდაწინ დავშალე რეინბოტის მოკვლის ორგანიზაცია, მით რომ გავეცი ფრუმკინი. მე გავეცი ყველა ისინი, რომლებიც დუბასოვის მოკვლას აწყობდენ. მასვე დაუდასტურებია, რომ აზეფი მართლაც ღებულობდა მონაწილეობას პლევეს მოკვლაშიო. ჟუჩენკოს თავი თავისუფლათ უჭირავს და ასე წარმოიდგინეთ, კიდეც ამაყობს თურმე თავისი მოღვაწეობით.

**დეპუტატი ბელოუსოვი.** გაზ. „სიბირი“ იტყობინება: ირკუტსკში ამ ჟამათ იმყოფება დუმის სოციალ დემოკრატიული ფრაქციის წევრი ბელოუსოვი. მან განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს გამოვიდეს დუმის ციმბირის ჯგუფიდან, რადგან ასეთი ჯგუფი მისი აზრით, არამც თუ საჭიროა, პირ-იქით, ზარალიც მოაქვს ხოლმე ხშირათ. ეს ზარალი გამოიხატება იმაში, რომ ჯგუფი თავისი გამოსვლებით აჩვევს საშუალოთ შეგნებულ მცხოვრებთ, ყველა სახელმწიფოებრივი კითხვები ადგილობრივი „სამრეკლოს“ თვალთა ხედვით განსაჯოს. ეს კი ვერაფერი ამღზრდელი ფაქტორია. დეპუტატმა დაუმატა, რომ ჯგუფიდან გამოსვლა მას გადაწყვეტილი არა აქვს საბოლოოთ. მას სურს ამის შესახებ თავის ამრჩევლებს შეეკითხოს, რაზედაც დამოკიდებულია კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტაც.

**პურიშკევიჩი არ ცხრება!** პურიშკევიჩი საჩივრის აღძვრას აპირებს ქ-ნ ფილოსოფოვას წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებს იმაში, რომ ქალთა სიეზდი რევოლიუციონური იყოვო.

### საზღვარ-გარეთ.

**ბერშტეინის აზრი.** გერმანულ ყოველ-კვირეულ ჟურნალ „დას ბლაუბუხ“-ში ედუარდ ბერშტეინი შემდეგს ამბობს გერმანიაში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებზე:

ყველაზე დიდ პარტიას, სოციალდემოკრატიას, არსებულ პირობებში არასოდეს არ

---

## ოზურგეთის მომავალი რეალური სასწავლებლის შესახებ.

ოზურგეთის მომავალი რეალური სასწავლებლის გახსნის საქმე, სამწუხაროთ, შეფერხდა; ამ სასწავლო წლის დასაწყისიდან მისი გახსნა აღარ ხერხდება.

როგორც კორესპონდენტებმა აღნიშნეს, საქმის ხელმძღვანელნი მთავრობისაგან ოფიციალური ნებართვის აუღებლათ შესდგომიან სასწავლებლის დასაარსებელი ფულის აკრებას, რასაც პოლიციის ჩარევა და ფულის აკრების აკრძალვა გამოუწვევია. რა თქმა უნდა, ჯერ ფულის მობოჭვის ნებართვა უნდა აეღოთ საქმის მეთაურებს და მხოლოთ შემდეგ უნდა დაეწყოთ ფულის მოგროვება. ამით პოლიციის ჩარევასაც აიშორებდენ თავიდან, ფულსაც დროზე მოკრებდენ და იმ მითქმა-მოთქმასა და განხეთქილებასაც აღარ ექნებოდა ხალხში ზეადაგი, რასაც, როგორც ჩანს, ზოგ ადგილას უკვე მოუკიდებია ფეხი.

ისიც არაა კარგი საქმე, რომ სოფლის განაჩენები უკანონოთ ყოფილა შედგენილი, რის გამოც მთავრობას არ მიუღია და უკანვე დაუბრუნებია, მარა, რა გაეწყობა, ახალ საქმეს ხშირათ შეცდომებიც თან ახლავს, რომელთა დროზევე გასწორება საქმეს ისევ შემოაბრუნებს. საქმის მეთაურნი თუ არ შეკრთებიან ამ პირველი შეფერხებით და გაორკეცებული ენერგიით იმოქმედებენ, ეჭვი არ არის, ყოველივე სიძნელეს გადალახვენ და მოკლე დროში სისრულეში მოიყვანენ ამ დიდმნიშვნელოვან კულტურულ საქმეს.

ერთი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი, რომელსაც ხალხში განხეთქილება შეაქვს და მით სასწავლებლის გახსნის საქმეს დიდათ აფერხებს, შემდეგია: ზოგიერთები, თურმე, ხალხს არწმუნებენ, რომ რეალური სასწავლებელი მხოლოთ მდიდრებისათვის იქნება სასარგებლო, დაბალი ხალხი მასში შვილებს ვერ გაზრდის და ამიტომ ხარჯიც არ უნდა გაიღოს მან მის დასაარსებლათო. ეს მოსაზრება რომ ეხებოდეს ხალხის მარტო იმ ულარიბეს ნაწილს, რომელსაც მართლაც არ შეუძლია ისარგებლოს საშუალო სასწავლებლით და არა სასოფლო საზოგადოებათა მთელ გლეხკაცობას—ჩვენც კვერს დავუკრავდით. ასეთს აზრს ჩვენ მხარს დავუჭერთ იქ, სადაც ჯერ კიდევ პირველდაწყებითი სწავლაც არაა საკმაოთ გავრცელებული. ახლა კი, ასეთი აზრის მქადაგებელნი გურიაში, სადაც პირველდაწყებითი სწავლა შედარებით გავრცელებულია, ნებსით თუ უნებლიეთ, ისეთ სამსახურს უწევენ ხალხს, როგორიც კრილოვის იგავ-არაკის დათვმა გაუწია თავის მეგობარ ადამიანს. მოგეხსენებათ, რომ დათვის მეგობარს ძილის დროს ბუზი დააჯდა შუბლზე. დათვმა ეს იწყინა, განიზრახა ბუზის მოკვლა და მით მეგობრის განთავისუფლება მისი კბენისაგან. ამ მიზნით მან აიღო დიდი ქვა და ღონივრათ თხლიშა მეგობარს შუბლში, მარა, უგნურმა, ბუზის მაგივრათ თვითონ მას, თავის მეგობარს, გააფშუკა ფეხები.

ასეთსავე დათვურ სამსახურს უწევენ გლეხკაცობას ისინიც, ვინც მას რეალური სასწავლებლისათვის ხარჯის გაღებას უშლის. ასეთი მოქმედებით ისინი შეგნებით თუ შეუგნებლათ დაბალ ხალხს საშუალო და მაღალი სასწავლებლებისაკენ გზას უჭრიან, მათ შორის ხიდს ტეხენ, ამ სასწავლებლებს მდიდრების საკუთრებათ, მათ სრულ მონოპოლიათ ხდიან... იმათი აზრით გამოდის, რომ დაბალი ხალხი არ უნდა ცდილობდეს თავის შვილებს საშუალო და მაღალ სასწავლებლებში მიაღებინოს განათლება, ის იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, დაბალ სასწავლებლებში თუ დურგლობა, მჭედლობა, მებაღეობა და სხვა ასეთი პრაქტიკული ხელობა შეასწავლა თავის შვილებს; მეცნიერება, მაღალი ტეხნიკა და სხვა ასეთები, რასაც საშუალო და მაღალ სასწავლებლებში იძენენ, იმათი აზრით, დაბალი ხალხისთვის სრულიად მიუწდომელია, რადგან მათი ბატონ-პატრონი ბურჟუა-კაპიტალისტები არიან.

თავისთავათ ცხადია, რომ დაბალ ხალხს სპეციალური პრაქტიკული ცოდნის შეძენა ესაჭიროება, მარა ესაჭიროება აგრეთვე საზოგადო ცოდნა, მეცნიერება, მაღალი ტეხნიკა და სხვა. ამიტომ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ხალხში იმ შეგნების შეტანას, რომ ის არ დაკმაყოფილდეს დაბალი სწავლით და შეძლებისადაგვარათ, თავისივე ძალ-ღონით გზა გაიწალდოს საშუალო და მაღალი სწავლისაკენ. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ახლა დაბალი სწავლის უფასოთ მოწყობა-გავრცელებასაც შეიძლება ადრე მოვესწრათ; ხოლო საშუალო და მაღალი სწავლის უფასოთ მოწყობა კი არსებული რეჟიმის დროს შეუძლებელია.

მთავრობასაც სწორეთ ის უნდა, რომ დაბალ ხალხს მეცნიერებისაკენ გზა შეუკრას და მისი ნიჭი პრაქტიკულ, ფიზიკურ შრომაზე დაახურდაოს. ამ მიზნით ის ცდილობს ისე მოაწყოს საშუალო და მაღალ სასწავლებლების საქმე, რომ ღარიბების შიგ შესვლა შეუძლებლათ გახადოს.

მთავრობა რომ საშუალო და მაღალ სასწავლებლებს შეძლებულ კლასთათვის ხსნის და დაბალი წოდების შვილების შიგ შეშვება არაფრათ ეპრიანება, ეს ცხადია, ამას თვით მთავრობაც არ ფარავს. ერთ დროს სახალხო განათლების ყოფილმა მინისტრმა ტოლსტოიმ პირდაპირ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც „იზვოშჩიკების“, „პრაჩკების“ და საზოგადოთ, დაბალი ხალხის შვილებს საშუალო და მაღალ სასწავლებლებში შესვლა აეკრძალათ.

მარა ცხოვრებას თავისი გააქვს. ის დროს განმავლობაში ანგრევს მის წინ ამართულ ხელოვნურ ზღუდეებს, შლის და აქარწყლებს ბნელეთის წარმომადგენელთა ბნელ ცირკულიარებს და იმათ ადგილზე თავის წეს-რიგს ამყარებს. აბა გადაავლეთ თვალი რუსეთის საშუალო და მაღალ სასწავლებლებს, გაითვალისწინეთ მათში მოსწავლე ახალგაზდობის შედგენილობა და დარწმუნდებით, რომ „იზვოშჩიკების“, „პრაჩკებისა“ და საზოგადოთ დაბალი კლასის შვილებს საგრძნობი და საპატიო ადგილი უჭირავთ იქ, როგორც რაოდენობით, ისე ნიჭითა და მეცადინეობით.

აღნიშნული ფაქტის სინამდვილე კიდევ უფრო ცხადი იქნება გურული მკითხველისათვის, როცა ის გონების თვალს გადაავლებს პატარა გურიას, რომელიც ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებთან შედარებით მაგალითს წარმოადგენს. არსად სხვა კუთხეში, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, საშუალო და მაღალ სწავლა გათავებულნი იმდენი არ მოიპოება, რამდენიც გურიაშია; არსად ამათ რიცხვში ღარიბი ოჯახის შვილები იმდენი არ ურევია, რამდენიც გურიაშია. თვითოეულ გურულ მკითხველს თვითონვე შეუძლია დაასახელოს რამდენიმე თავისი მეზობელი ან ნაცნობი გლეხის, ღარიბი პრიჩედნიკისა და გაფხეკილი აზნაურის შვილები, რომელთაც წვითა და დაგვით, მონათხოვნი ფულებით გაუთავებიათ საშუალო და მაღალი სასწავლებელი. რამდენი ჩვენი მეზობელი და ნაცნობი ახალგაზდები დღეს, ჩვენ თვალწინ, ეწევიან ასეთსავე ჭაპან-წყვეტას, უხერხულათ მიმაჩნია, თვარა აქვე მოვათავსებდი იმათ სიას.

მოგეხსენებათ, რომ კაპიტალისტურათ განუვითარებელ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, კლასთა და წოდებათა შორის სიმდიდრის განაწილება უკიდურესობამდის არაა მისული და ამიტომ ასეთი ქვეყნის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა თითქმის ერთნაირი წვრილი მესაკუთრეებისაგან შედგება. ეს გარემოება, სხვა პირობებთან ერთათ გადაჯაჭვულ-გადახლართული, შესაძლებელათ ხდის, რომ დაბალი ხალხის, წვრილ მესაკუთრეთა შვილებმაც მიიღონ საშუალო და მაღალი სწავლა. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, სადაც კლასთა შორის სიმდიდრის განაწილება უმაღლეს წერტილამდის არის ასული და სადაც ხალხის უმეტესობა საკუთრებას მოკლებული და გაპროლეტარებულია,—საშუალო და მაღალ სასწავლებლებში, ღარიბი ოჯახის შვილების რიცხვი მცირეა. ჩვენებური ახალ-

...ცია მთავრობის უმრავლესობის პარ...ო გადაქცევს. არც შეძლებს, ცენტრის ...თიას შეუძლია ეს, რადგან მას ხელს უშ... სარწმუნოების საკითხი! ამ პარტიას ...ლოდ უკანა კარებიდან (съ черной ...стницы) შეუძლია შესვლა, იგი გერმა... კათოლიკების პარტიაა და ამიტომ თა...დღეში არ შეუძლია რეიხსტაგში უმეტე... მოიპოვოს. იგი იმდენათ ჩაითვლება ...ვრობის" პარტიაში, რამდენათაც ზე...ან ნაბრძანებს დაემორჩილება. გერმანიის ...ვრების უმეტესობა პროტესტანტების, ...სიის მოწინააღმდეგენი და ამიტომ არ ...ვებენ კათოლიკურ ცენტრს. არც ნაციო... ლიბერალები ჩამოუვარდებიან ამ მხრივ ...რს, ისინი უფრო მეტად შეეცდებიან ...ვითების" მოწყალებას. 1907 წ., როცა ...არტიას გარემოებანი უწინდელზე მეტ ხელს ...ბდა, 55 მანდატი ძლივს შეკრიბა. ამი...მან თავის თავს სიკვდილის განაჩენი გა...ტანა; იგი ძლიერია მხოლოდ გვირგვი... შეურყევლობით. თავისუფალი მოაზრენი ... მარტო მასალაა მთავრობისათვის, რო...ც იმათ წრიდან იძენს „თანამგზავრებს", ...უკიდებელი არსებობა მას არ შეუძლია, ...ა კონსერვატორებმა, რომელთა დამოკი...ლება გვირგვინთან დამყარებულია ურთი... შორის განწყობილებაზე.

...ც შეეხება პრუსიას, იქ ერთად ერთი ...ერი პარტია—კონსერვატორებისაა, მაგ... იმათ მიზნისთვის უფრო შესაფერისათ ...ათ წრეებში იყვნენ, მათ უნდათ ბა...ობა და არა გამგებლობა. პარლამენტ...ში არა სწამთ, იმათ თითქოს დინასტია... კავშირი შეუკრავთ. ლანდტაგში ცდი...ენ რაც შეიძლება ხელი შეუშალონ პროგ...ისტების რეფორმატიულ მოღვაწეობას ...რგვინის უფლებების გაუსაზღვრელათ, ...თვისაც მათ მხარს უჭერს და მფარველ...ს გვირგვინი. კონსერვატორებს ძალას ...ებს პრუსიაში არა მარტო გვირგვინის ...ის დაჭერა და მფარველობა, არამედ სი...ტე და დაქსაქსულობა დანარჩენი პარტიი... ამიტომ წერილის ავტორი მთელ იმე...ს ამყარებს „დიდი პარტიების" დაარსება... ამ მიზნის განსახორციელებლათ საჭი..., რომ არ ღრმავდებოდეს უთანხმოება ...სუფალ მოაზრეებსა და ლიბერალებს შო... ერთი მხრით და სოციალდემოკრატებ ...რე მხრით. პირველი კითხვა, რომელ... შესაძლებელია ლიბერალების და სოციალ...დემოკრატების საერთო გამოსვლა, ეს იქ... პრუსიის საარჩევნო რეფორმა.

**...ოლიციასთან შეტაკება.** პარიზში ამ ...თ გაფიცულია 11,000 კალატოზი. ამ ...ებში გაფიცულებმა მიტინგი გამართეს. ...ინგზე წითელი დროშა აფრიალეს. მი...ნგზე პოლიციას და მუშებს შორის შე...ება მოხდა. ორივე მხრით რამდენიმე ... დაიჭრა. შეტაკების ადგილას 10,000 ...ამ მოიყარა თავი. წესიერების აღსადგე... ნაციონალური გვარდია გამოიწვიეს.

## გაფიცვა შვეციაში.

„რ. ვ." კორესპონდენტი სწერს, რომ უფრო სინამდვილით გამეგო პროვინციის სულიერი განწყობილება, პირადათ დავიარე რამდენიმე პროვინცია. სულიერი განწყობილება ყოველგან უფრო აწეული და შეუდრეკელია, ვიდრე თვით სტოკჰოლმში. ყველგან მზათ არიან გაფიცვა ბოლომდის მიიყვანონ. აქ გაფიცვა უფრო სრულათ მიმდინარეობს. აქ გრძნობ, რომ ცხოვრება შვეციაში მართლაც შეწყდა და რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდება. ყოველგან თავზარდამცემი სიწყნარე-სიჩუმე გამეფებული. დავესწარი მრავალრიცხოვან მიტინგს, რომელიც გრანდიოზული დემონსტრაციით დასრულდა. მიტინგი ქალაქ ესკილსტუნაში მოხდა. ეს ქალაქი განთქმულია სხვა და სხვა სამეურნეო იარაღების და საერთოთ ლითონის დამამუშავებელ ქარხნებით. თითქმის ერთიან მუშებით და მათი ოჯახობით არის დასახლებული. მუშები მშვენივრათ არიან შეკავშირებული: აქვთ თავის საკუთარი ბაღი, მდიდარი სამკითხველო, საკონცერტო ზალა, თეატრი და საუცხოვოთ მოწყობილი გაზეთი, რომელსაც 12,000 ხელის მომწერი ჰყავს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს მუშები შედარებით კარგ პირობებშია, სოლიდარობის გამოსაცხადებლათ, თითქმის ყველა მუშა-მამაკაცი გაფიცულია. მიტინგი საუცხოვო რამეს წარმოადგენდა. სახალხო ბაღში ნაძვები კოხტათ შემკული იყო ყველა ერთვნების წითელი დროშებით. მიუხედავათ იმისა, რომ მიტინგზე მრავალი ათასი მუშა იყო, მაინც სამარისებური სიწყნარე-სიჩუმე იყო. გრძნობდი, რომ აქ რაღაც რთული და სერიოზული საქმე წყდება, რომ ყველას გულზე რაღაც დიდი და მტანჯველი ფიქრი ლოდივით აწევს. ილაპარაკა ნორვეგიის კორესპონდენტმა. მან მოკლეთ გააცნო მიტინგს სოციალური მოძრაობის ისტორია ნორვეგიაში. მან აღნიშნა, რომ ახლა, როცა უნია გაუქმებულია ნორვეგიის და შვეციის მუშათა შორის მეტათ მეგობრული განწყობილება სუფევს და რომ ამ უნიის გაუქმებაში შვეციის მუშებს დიდი ღვაწლი მიუძღვით, მით რომ, შვეციის მუშებმა 1905 წელს გაილაშქრეს ორივე ქვეყნის შოვინისტების გაუმაძღარი სურვილების წინააღმდეგ და უარი განაცხადეს თავის სკანდინაველ ძმების წინააღმდეგ ომზე.

მიტინგი სულ განაბული ისეთის დიდის ინტერესით ისმენდა ამ თავისებურ ლექციას, რომ წვიმამაც კი ვერ დაშალა ისინი. როცა წვიმა შეწყდა, ეს ვეებერთელა მიტინგი დაირაზმა ოთხ-ოთხი რიგში და ამწვანებულ გზაზე შავი ლენტივით გაწვა. ერთი წუთის კიდევ სიჩუმე და უეცრათ ორკესტრმა დაიგრიალა.—დიახ, ეს იყო ნამდვილი ალლუმი „მშვიდობიანი ჯარის".

მიტინგი საუცხოვო წეს-რიგით წინ მიიწევდა. გამამხნევებელი „მარში" ტიალველს და მიძინებულ ტყეს აღვიძებდა. ორკესტრის ხმა წინ მირბოდა და გზის პირათ მდებარე სოფლებს აუწყებდა მიტინგის მოახლოვებას. გაფრთხილებული სოფლელები უკვე მისწრაფოდენ და მიტინგს უერთდებოდენ. ქალები თავის ძუძუ-მწოვარა ბავშებით მოაჯირებზე გადმომდგარიყვნენ, გზის პირათ მოხუცნი ჩარაზმულიყვნენ, აქედან-იქიდან ყიჟინით პატარა ბავშები მორბოდენ. გზაში პოლიციელები იდგნენ, მარა მათ კრინტიც არ დაუძრავთ, მათ სახეზე მხოლოთ განცვიფრება გამოკრთოდა. დემონსტრაციებმა პოლიცმეისტერის სახლის წინ გაიარ-გამოიარეს, ისევ რამდენიმე ქუჩა, ისევ ჰიმნი, ისევ სიტყვები და ბოლოს რეზოლიუცია—განაგრძონ გაფიცვა უკანასკნელ წუთამდე. სამ საათზე ეს „მშვიდობიანი ჯარი" წყნარათ, უინციდენტოთ დაიშალა. წამოსვლის წინ ჩვენ შევიარეთ სასადილოში, სადაც მუქთათ კვებავენ უფრო ღარიბი მუშების შვილებს. საჭმელ-სასმელი სრულიათ საკმარისია. ასეთი ბავშების რიცხვი არც ისე დიდია, როგორც ამბობდენ. მუშები ყველაზე უფრო ბავშებისთვის სწუხთ. ამ მშვენიერ დიდ ზალაში გამოკიდებულია დიდი სურათი ალფრედ პალმის. პალმი შვეციის სოციალურ მოძრაობის პირველი მერცხალია.

რომ გამეგო, თუ რას ფიქრობს გაფიცვის ამდენი ხნის შემდეგ, ჩვენ მივმართეთ „მრეწველთა კავშირის" თავმჯდომარეს, რომელმაც შემდეგი გადმოგვცა:

— როგორც იცით, ჩვენ პირველმა გამოვაცხადეთ ომი, პირველმა დავიწყეთ ბრძოლა! საერთო ლოკაუტი იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მუშებმა მეტათ დაგვღალა ცალ-ცალკე გაფიცვით. რომ ერთი ხელის დაკვრით მოგვესპო მრეწველებს ასეთი დამღუპველი „თავაშვებულება" და რომ მოგვეპოვებია მთელი მხარისთვის ხელფასის და სამუშაო დღის საერთო ნორმა,—გადავსწყვიტეთ გამოგვეცხადებია ლოკაუტი. მაგრამ მე სრულიათ არ მესმის, რატომ ლოკაუტს მუშებმა საერთო გაფიცვით უპასუხეს. ჩვენ ხომ არ მოგვითხოვია სამუშაო დღის გადიდება და ხელფასის შემცირება მრეწველობის ყველა დარგში. მაგ. ჩვენ წარვუდგინეთ მოთხოვნილება მკერვალებს, ხოლო რატომ გაიფიცნენ ასოთ-ამწყობნი ან და სოფლის მუშები—ეს კი აღარ მესმის.

— კი, მაგრამ თქვენ, როგორც თქვენი გაზეთები იუწყებოდენ, გინდოდათ მუშათა ორგანიზაციების დანგრევაო.

— გაზეთებზე მე არ ვაგებ პასუხს. მაგრამ არ მესმის რატომ უნდა ვსდევნოთ ჩვენ მუშათა ორგანიზაციები: ჩვენ რომ მეფაბრიკეები და მრეწველები ვართ სოლიდარობა და კავშირები ჩვენცა გვაქვს.

— მაშასადამე თქვენ სცნობთ და აღიარებთ შვეციის მუშათა ორგანიზაციების არსებობის საჭიროებას?

— რასაკვირველია, ჩვენ ხომ მათთან მოლაპარაკებას ვმართავთ და თუ ორგანიზაციები არ ექნებათ, როგორ შეიძლება რამე მოლაპარაკება. მეორეც ის, რომ შეუძლებელია ასეთი ძლიერი ორგანიზაციების დანგრევა—ირონიულათ ჩაცივებით ჩაილაპარაკა.

— თქვენ უარს ვერ ყოფთ, რომ გაფიცვის დაწყებისას ამის შესახებ დიდი ბჭობა-კამათი იყო.

— მე შემიძლია გითხრათ მხოლოთ ის, რაც ახლა ხდება. ძალიან საძნელოა ითქვას როდის და რით გათავდება ლოკაუტი და გაფიცვა. ყოველ შემთხვევაში შვეციისათვის ძალიან სასარგებლო იქნება, რაც შეიძლება გაფიცვა მალე გათავდეს, რადგან ამ გაფიცვით ჩვენი ქვეყანა დიდ ზარალს განიცდის. განსაკუთრებით წვრილ წვრილი მრეწველები აგერ-აგერ გაკოტრდებიან. რაც შეგვეხება ჩვენ, გადაწყვეტილი გვაქვს, ინდუსტრიის განვითარების საჭიროებისათვის მტკიცეთ დავიცოთ ბოლომდის ჩვენი მოთხოვნილება.

— თუ გაფიცვა გაგრძელდა, გეყოფათ თუ არა ფული ბრძოლის გასაგრძელებლათ.

— ვფიქრობთ, რომ გვეყოფა. ის ხმები ვითომ ჩვენ სესხს ვღებულობდეთ საზღვარ-გარეთ—სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაფიცვა დიდხანს არ გაგრძელდება.

— თუ გაფიცვა მოისპო, ალბათ, ლოკაუტიც შეწყდება.

— არა. ჩვენ, სულ ერთია, ჩვენსას მოვითხოვთ.

აქ შეწყდა ჩვენი საუბარი. თუმცა ჩემი მოსაუბრე დიდის რიხით და გადაჭრით ლაპარაკობდა, მარა მისი ლაპარაკის კილო ცხადათ ამტკიცებდა, რომ ასეთ ხანგრძლივ გაფიცვას სრულიათ არ მოელოდენ და რომ ისინი მზათ არიან რამდენიმეთ მაინც დაუთმონ მუშებს.

---

...ები, რომლებიც საზღვარ-გარეთის ...წავლებლებში სწავლობენ, ადგილობ... საზოგადოებას და თვით პროფესო...საც სულ კაპიტალისტების შვილები ...ნიათ და ის კი არ იციან, რომ ესენი ...ტეს შემთხვევაში მონათხოვნ-მონაგ...ვები გროშებით იპურებენ სულს და ...ავარ ტანჯვა-წვალებას განიცდიან. ...მნაირათ, ყოველივე ზემოთქმულიდან ...დია, რომ საშვალო და მაღალი სას...ვლებლები ჩვენში მხოლოთ და მარტო ...დრებს კი არ უწევს სამსახურს, არა... დაბალ ხალხსაც.

...ერძოთ, ოზურგეთის მომავალი რეა...ლი სასწავლებლის მეთაურებმა წინდა...ვე გაითვალისწინეს ხალხის ულარი...ი ნაწილის მდგომარეობა და სასწავ...ბლის პროექტში შეიტანეს ისეთი ...ლი, რომლის ძალითაც მოსწავლეთა ... პროცენტი, მეათედი ნაწილი, უნდა ...თავისუფლდეს სწავლის გადასახადისა...ან. ამას ახლა არსებული სასკოლო ...კანონიც თხოულობს. ეს კი ცოტა...თი მაინც გაუადვილებს ღარი...ს შვილების აღზრდას. სრულ რეა...ურ სასწავლებლებში, ცოტა რომ ...ვათ, 400 მოსწავლე მაინც იქნება, ...მელთაგან 40 ღარიბი და ხელმოკლე ...ამ თავისუფალი იქნება სწავლის გა...სახადისაგან. სხვა ყველაფერს რომ ...ი დავანებოთ, ეს გარემოებაც საკმა...სია იმისთვის, რომ გურიის გლეხ-კაცო...ა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ...ლური სასწავლებლის დაარსებაში და ...რჯიც გაიღოს. მარა ხარჯი, რა თქმა ...და, სამართლიანათ უნდა გაიწეროს, ...ც გულისხმობს ღატაკი ოჯახობის ...ულიად გათავისუფლებას.

სამწუხაროთ, ამ საქმის ხელის შემშლელათ კიდევ მეორე ჯურის მქადაგებელნიც გაჩენილან, რომლებიც თურმე ერთ რეალურ სასწავლებელსაც არ სჯერდებიან, ხალხს ურჩევენ კუთხეების მიხედვით დანაწილებას და თავ თავის კუთხეში საკუთარი საშვალო სასწავლებლის გახსნას. იმათი აზრით, თითო საშვალო სასწავლებელი უნდა გაიხსნას: ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში და კიდევ, რა ვიცი, სადა და სად. რა თქმა უნდა, ჩინებულია აზრია, მისი განხორციელება რომ შესაძლებელი იყოს. თუ მარტო პლანის შეთხზვაზე მიდგება საქმე და სხვა არა იქნება რა საჭირო, მე იმასაც ვიტყვი, რომ ამდენ გიმნაზიას ერთი უნივერსიტეტიც დაჭირდება და ბარემ ესეც დავაარსოთ მეთქი.

როგორც ხედავთ, გურიაში ორ უკიდურეს მიმდინარეობას უჩენია თავი, რომელთაგან პირველი ერთი საშვალო სასწავლებლის გახსნასაც არ თვლის საჭიროთ, ხოლო მეორეს ერთბაშათ ოთხიხუთის გახსნა განუზრახავს. პირველი მიმდინარეობის წარმომადგენელნი თუ უვიცობით არიან შეპყრობილი, მეორეებს, უთუოთ, ცოდნისა და შეგნების სიჭარბე შეყრიათ. მე ისიც კი მგონია, რომ ამ უკანასკნელთ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, კუთხური პატრიოტიზმი უნდა ამოძრავებდეთ.

ასეა თუ ისეა, ამათაც არევ-დარევა, დეზორგანიზაცია შეაქვთ ხალხში, რაც, რა თქმა უნდა, ერთობა-სოლიდარობას ასუსტებს და მით დიდი ვნება მოაქვს.

საჭიროა გავაგებინოთ ამგვარ მეოცნებეთ, რომ მთავრობა გურიაში რამდენიმე საშვალო სასწავლებლის გახსნის ნებართვას არ მოგვცემს, საამისო მატერიალური საშვალებაც რომ ხელთ გვქონდეს. ოზურგეთში კი, როგორც სამაზრო ქალაქში, ყველაზე ადვილათ შეიძლება ერთი საშვალო სასწავლებლის გახსნა, თუ, რა თქმა უნდა, მის საარსებო მუდმივ წყაროს მიუჩენენ მთავრობას. ასეთი წყაროს შექმნა კი არც ისე ადვილი საქმეა. ამისთვის საჭიროა მთელი გურიის ხალხი, წოდებათა განურჩევლათ, შეთანხმებული, სოლიდარული მოქმედება და არა სხვადასხვა ჯურის ცრუ ქირისუფალთა ყურის გდება და აყოლა. ხალხური სიბრძნე ტყუილათ კი არ ამბობს, რომ „როი კურდღლის მდევარი, ერთსაც ვერ დაიჭერსო".

ამნაირათ, საჭიროა უკვე დაწყებული საქმის მაგრათ ხელის ჩაჭიდება, მის განსახორციელებლათ ახლავე ხარჯის გეღება, საქმის ცხელ კვალზე მიყოლა, თვარა ისიც არ იქნება ჩვენს დროში გასაკვირალი, რომ ცოტა ხნის შემდეგ მთავრობამ ცივი უარი გვტკიცოს, ან ისეთი პირობები წამოაყენოს რომელთა ასრულებას ხალხი ვერ შესძლებს. განა ვერ ხედავთ, თუ როგორ ძნელდება დღითი-დღე ამ საქმის განხორციელება?

გურიის ხალხი თუ შესაფერ გონიერებას და გამჭრიახობას გამოიჩენს,—მომავალი იანვრიდან შესაძლებელი იქნება სასწავლებლის გახსნა და ამუშავება. ამის მოლოდინში საჭიროა მშობლებმა თავისი შვილები მოამზადონ, რომ მაშინ წლოვანების მიხედვით შეიძლებოდეს მათი ამა თუ იმა განყოფილებაში და კლასში მიღება. აქედანვე უნდა იცოდენ, რომ სასწავლო წლის შუაში ბავშებს მოუმზადებლათ და გამოუცდელათ არ მიიღებენ.

ჭ—რა.

## ახალი ამბები

**ხარაჯიშვილის სტიპენდიები.** დ. ზ. სარაჯიშვილის სტიპენდია დაენიშნა შემდეგ პირთ: ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტს ალექსანდრე ლომთათიძეს, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტს ლევან ასათიანს, პეტერბურგის—ვლადიმერ ყანჩელს, შალვა ქართველიშვილს, ვლ. მენთეშაშვილს, სოლ. ფურცელაძეს, გიორ. ბერძენიშვილს და დავ. ცხვედაძეს.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწეს გადადგომა.** როგორც გაზ. „რუს. სლოვო"-ს გაუგია, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი შატილოვი ახლო მომავალში სამსახურს თავს ანებებს.

✦ **ტუსაღის მოკვლა.** 23 აგვისტოს დილის 5 საათზე „მაძებარ პოლიციის" განყოფილებიდან საგუბერნიო სატუსაღოში მიყავდათ ტუსაღები იოსებ სულხანოვი, მეტ სახელათ „ხიშო" და ალექსანდრე კაციაშვილი—მეტ სახელათ „დროხა". ტოლეს ქარხნის ახლო მათ განიზრახეს გაქცევა, მაგრამ თანმხლებმა სალდათებმა მოკლეს. გაქცევის დროს, დარაჯების შესაშინებლათ ტოლეს ქარხნიდან რევოლვერი ისროლეს. გაჩხრეკის დროს ღობის ძირას იპოვნეს ბულდოგის სისტემის რევოლვერი.

✦ **შექეიფებული სტუდენტები.** 22 აგვისტოს სადოვოი და მიხაილოვის ქუჩების კუთხეში ძალზე შექეიფებულმა ორმა სტუდენტმა დავით ლომინაძემ და ტიგრან ინიევმა შეურაცხყოფა მიაყენეს „პროექტორ" აპოლის პატრონს. ასტეხეს ყვირილი და აურ-ზაური. ხმაუროზე მოვიდა უბნის ზედამხედველი, რომელსაც სტუდენტებმა შეურაცხყოფა მიაყენეს. ორივე დატუსაღებულ იქნა.

✦ **აგიტატორი მღვდელი.** საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველმა, იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ თანამდებობიდან გადააყენა ქვიშხეთის (ქართლი) სამრევლოს მღვდელი ლორია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა გლეხებში, რომ მათ არ გადაეხადათ მემამულეთა სასარგებლოთ დაწესებული გადასახადები („კ.")

✦ **ადმინისტრატიულათ გადასახლებულის შეპყრობა.** 20 აგვისტოს მეცხრე საპოლიციო უბანში შეიპყრეს თფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული ნიკოლოზ კესენაშვილი.

✦ **თავის მოკვლა.** 23 აგვისტოს, მეეევოი ქუჩაზე, სახლი №18, თავის ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა პირველ გიმნზიის მესამე კლასის მოსწავლე ქალმა ანნა ივანოვამ—16 წლის. გვამი საავათმყოფოში გაგზავნეს.

✦ **დეზერტირი.** 23 აგვისტოს, ვორონცოვის ქუჩაზე შეიპყრეს არტილერიის ბრიგადის დეზერტირი იოსებ ხარჩილავა.

✦ **შუამდგომლობა.** პატარძეულის (თფ. მაზ.) საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს წინაშე, რათა ს. პატარძეულში გაიხსნას ორ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებებით. საზოგადოება თავის მხრით ხსენებულ სასწავლებელს უთმობს 14 დესეტინა მიწას.

✦ **ილმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის** 50 წლის აღსანიშნავათ თავად-აზნაურთა საკრებულომ 500 მანეთი გადასდო 25 აგვისტოს სახალხო სეირნობის მომწყობ ორგანიზატორთა განკარგულებაში.

✦ **ნავთის ქურდობა.** 19 აგვისტოს სად. სუფსის ახლოს გაუხვრეტიათ ნავთის საყვანი მილი, საიდანაც წაუღიათ 2,000 ფუთი ნავთი.

✦ **სასამართლო.** 22 აგვისტოს სამხედრო სასამართლომ გაარჩია კაზაკის ოტრიშკოს და „გოროდოვოის" კომჩაროვის მოკვლის საქმე. ხსენებული პირნი მოკლეს 1907 წ. 7 იანვარს ოლღას ქუჩაზე. ამ საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული კონ. ევსეევი, სამსონ სამხარაძე, ან. ანდრონოვი, ალექსი და გიგო ქიტუაშვილები. სამსონ სამხარაძეს ამას წინეთ ხსენებულ საქმეზე სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, მარა მეტეხში მომხდარ არეულობის დროს წელს ის მოკლულ იქნა. დანარჩენი ან. ანდრონოვი, ალექსი და გიგო ქიტუაშვილები საქმის გამოძიების დროს სადღაც მიიმალენ. ამ სახით სასამართლოს წინაშე 22 აგვისტოს წარსდგა მხოლოდ კონსტანტინე ევსეევი, რომელიც სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

✦ **პანაშვიდი.** 30 აგვისტოს ხოჯივანქის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის სომეხ მწერლის მურაცანის მოსაგონებლათ.

✦ **თავის მოწამვლა.** 22 აგვისტოს მიხაილოვის ქუჩაზე, სახლი № 9, კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა აკიმ ნიკოლაევმა. მიზეზი ეგზამენზე ჩაჭრა იყო.

✦ აკიმოვის ქუჩაზე მცხოვრებმა, თფ. მოქალაქე მიხეილ ხარაზოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ მას შინ არ ყოფნის დროს სახლიდან მოპარეს სხვა და სხვა ნივთები 52 მანეთათ ღირებული. პოლიციამ დაატუსაღა საღანლუღის მცხოვრები გიგო ნანობაშვილი და იოსებ მირიანაშვილი. ნივთები ვერ აღმოაჩინეს.

✦ **მოკლულის ვინაობა.** 22 აგვისტოს, მუშტაიდის ბაღში მოკლული აღმოჩნდა კურინსკის პოლკის „ვოლნოოპრედელიაიუშჩი" გენადი სახაროვი.

✦ **შეპყრობა.** 23 აგვისტოს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიულათ გადასახლებული კონსტანტინე სამადოვი.

✦ 23 აგვისტოს დიტრიხის მცველი კურამ-მუგამე-ოღლი მთვრალი მივიდა ამავე ქარხნის მუშა არჩილ ბენდუკიძის ბინაზე და რევოლვერის სროლა დაიწყო. შემდეგ ის გავიდა გარეთ და დიდუბის ქუჩაზე რევოლვერი დაუმიზნა მიმავალ პლასტუნებს და უნდა ესროლა, მაგრამ დაიჭირეს.

✦ 23 აგვისტოს მალაკნის ქუჩაზე სახ. № 18, ვორონეჟის გუბერნიის გლეხმა ივანე ბიკოვმა ჩხუბის დროს წერაქვით თავი გაუხეთქა ეგორ ჩერენკოვს ბიკოვი დააპატიმრეს.

✦ რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო წერილები სევერიან ჯუღელის გარდაცვალების გამო: ადესა. ადესის მუშათა ჯგუფის მონდობილობით ისიდორესაგან, ვიატკის გუბერნიიდან ნოე ხომერიკისაგან, ს. აკეთი. ალექსი ნაცვალიძისაგან,

ს. მეტეხა. დავით კალატოზიშვილისაგან, შერგი. ლევან ალიხანიასგან, ხარკოვი. ქართველ სალდათებისაგან, პოდოლის გუბერნია. ასოთ-ამწყობ სერგო ფილიასაგან, ყუბანის ოლქი. გურულ სალდათებისაგან.

✦ **გვთხოვენ გამოვცხადოთ შემდეგი:** „16 აგვისტოს დ. სამტრედიაში, ოზურგეთის რეალურ სასწავლებლის სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა 131 მანეთი და 32 კაპ.; დაიხარჯა —შენობის ქირა—10 მ., ავტორს 2 მ., მუსიკალურ-ვოკალურ განყოფილების მოწყობაზე—22 მ. 99 კ., პარიკმახერს 7 მ., პატენტი—9 მ. 10 კ., აფიშები და ბილეთები— 6 მ. 44 კ., მოსამსახურეს—3 მ. 50 კ., ფარნები და სანთლები—2 მ. 10 კ. წვრილი ხარჯები— 1 მ. 30 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 66 მ. 89 კ., რომელიც შეტანილია სამტრედიის სადგურის შემნახველ კასაში, ექიმ დიმ. ერისთვის სახელზე. მადლობის ღირსნი არიან ყველა ის პირნი, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს წარმოდგენის დროს.“

✦ ყვირილიდან გვატყობინებენ: 21 აგვისტოს, ღამით, სოფელ ქვემო საქარაში გლეხ ბარბაქაძეს თავს დაესხენ ყაჩაღები. ბარბაქაძის ვაჟმა სროლა აუტეხა. ყაჩაღებმა ზალპი მისცეს. ბარბაქაძე იძულებული შეიქნა გაქცეულიყო ჰერანგის amara. ყაჩაღებმა შეამტვრიეს კარები, გაიტაცეს 500 მანეთი და გაიქცენ. ეს ამბავი აცნობეს ზემო საქარის მამასახლისს, რომელიც გამოუდგა დარაჯებით, სოფლის კანცელარიაში მარტო იასაული დასტოვეს. ყაჩაღები მამასახლისს გზაში ასცდენ, დაეცენ კანცელარიას. 200 მანეთამდე ფული და ბერდანის პატრონები გაიტაცეს და მიიმალენ.

✦ 23 აგვისტოს, ვკრაის ქუჩაზე, სახლი № 46 მცხოვრებმა თფილისის მოქალაქე ნიკოლოზ კულუმბეკოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ მისი სამჭედლოდან ავჭალის ქუჩაზე, სახლი № 199, ოთხი დღის წინათ მორგებული გასაღებით მოიპარეს 800 მანეთის სახელოსნო იარაღები. ქურდი, საქულ გეგეჭკორი პოლიციამ დაიჭირა და დანაშაულშიც გამოტყდა.

✦ **სამგლოვიარო წერილი.** რედაქციამ მიიღო გერმანიიდან შემდეგი სამგლოვიარო წერილი: „რუსეთის მშრომელმა ხალხმა კიდევ დაკარგა ერთი საუკეთესო მებრძოლი, მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი სევერიანე ჯუღელი. ვუერთებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას ოჯახის და ამხანაგებისას. ნ. რამიშვილი, ალიკო ლანდია, დ. ლამბაშიძე, მ. სერვეტნიკი, Черменъ, Баевъ ნ. იმნაიშვილი.

✦ **დახმარება.** ტოლლეს გარხნის მუშებისაგან სევ. ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოთ „ჩანგი“-ს რედაქციამ მიიღო 5 მან. და 20 კაპ., რაიც დანიშნულებისამებრ გადაეცა.

**შეცდომის გასწორება:** სახ. წარმოდ. გამმარ. სექციის რეორგანიზაციის შესახებ წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომა შეგვეპარა, რომელიც ერთიანათ სცვლის წინადადებას 1) სწერია: უნდა აგვერჩია სარეორგანიზაციო კომისიაში. უნდა იყოს: სარეორგანიზაციო კომისია. აქვე ორი სიტყვის შემდეგ გამოტოვებულია წერტილი ,2) ქ-ნი დემურია დღემდის სექციის თავმჯდომარეთ იყო. უნდა იყოს: რომელიც თითქმის დღევანდლამდე თავმჯდომარეთ იყო.

# კორესპონდენცია

—

**დ. ლაილაში.** (ლეჩხუმის მაზრა) 15 ამა აგვისტოს სცენის მოყვარეებმა ლაილაში (ლეჩხუმი) წარმოადგინეს დ. ერისთავის ცნობილი პიესა „სამშობლო“ ლაილაშის მომავალ სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოდგენას ყოველ მხრივ ბევრი დაბრკოლება გადაეღობა წინ. პირველი ის, რომ მომქმედი პირები ცოტა იყვენ და ისეთი პირებით შეავსეს, რომ არა თუ სცენაზე არ გამოსულან, არამედ მგონი სცენა არც კი უნახავთ; მეორე, ნებართვა სწორეთ 15 აგვისტოს საღამოს 8 ს. მიიღეს, მაშინ, როდესაც გადადებას აპირობდენ, რადგან ნებართვა თუმცა ერთი კვირით წინ ითხოვეს, მაგრამ მაინც არ მოვიდა გვიანობამდე და რადგან ხალხი ბლომათ შეყრილიყო და ბილეთებიც კაი ძალი იყო გაყიდული, იძულებული გახდენ დაედგათ ამავე საღამოს; მესამე, შენობა ძალიან ვიწრო იყო და იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ნახევარი უადგილობისა გამო გულდაწყვეტილი უკან დაბრუნდა. და ასე, მრავალმა დაბრკოლებამ ხელი შეუშალათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ზოგიერთ მონაწილე პირთა ენერგიულ შრომამ მაინც თავისი ქნა და წარმოდგენამ გვარიანათ ჩაიარა.

რადგან ბილეთები იაფ-ფასიანი იყო და შენობაც ვიწრო, ამიტომ მთელი შემოსავალი მხოლოთ 90 მანეთამდე ავიდა. აქედან სცენის მოწყობას, ტანისამოსების შეძენას, პარიკებს, დეპეშებს და სხვა ხარჯებს მოუნდა 65 მან. დარჩა 25 მანეთი. არ შემიძლია ღრმა მწუხარებით არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ დ. ლაილაშის მცხოვრებნი საშინელი გულგრილათ შეხვდენ წარმოდგენას. არ აღმოჩენილა ისეთი პირი, რომ ამ წარმოდგენაში თუ რაიმე უბრალო მონაწილეობა მიიღო, ორი ზომა სასყიდელი არ მოეთხოვოს. წარმოდგენის მეორე დღეს თითქო ნადავლს იყოფდენ. მოდიოდენ და თხოულობდენ: მე ფიცრები გათხოვეთ და ქირა მიბოძეთ, მე სკამები მოვიტანე, მე ტანისამოსების კერვაში გეხმარებოდით, მე ეს მერგება და მე ესო; ასე რომ, ჰვირათ მოიპოვება ისეთი ლაილაშელი, რომელსაც სასყიდელი არ მოეთხოვოს... და არ მოეთხოვოს იგინსაც კი, რომელნიც ენით ქვეყანას აშენებას უპირებენ. ასე წარმოიდგინეთ, რომ იმ იაკობ კაჭკაჭომაც, რომელიც თავის სიმდიდრით განთქმულია, ფიცრების წასაღები 10 კაპეიკი მოითხოვა. ამნაირათ, 90 მანეთი 25 მანეთზე დადგა.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ცაგერის სკოლის ზედამხედველი ვარლამ გელოვანი, (გამგე) ექიმი ბიქტორ ხუსკივაძე (რეჟისორი), ოსიკა, მოშე, და ეფრემა მარდარიაშვილები, რომლებმაც შენობა უსასყიდლოთ დასთმეს და ყველა მომქმედი პირები, რომლებმაც დიდი შრომა ნახეს.

**ლეონიდე.**

—

**ს. მეტეხი** (გორის მაზრა). ერთ წინა წერილში აღვნიშნეთ ჩვენი საზოგადოების მამასახლისის ბ-ნ ვეზირთვის უკანონო მოქმედებანი, რომელმაც მაზრის უფროსის ბ-ნ გახვახიშვილის ყურამდისაც მიაღწია. მის შესამოწმებლათ ს. მეტეხში მოვიდა თვითონ ბ-ნი მაზრის უფროსი 1 აგვისტოს. მაზრის უფროსმა მამასახლისს წინადადება მისცა ხალხს მოშორებოდა. შემდეგ ის შეეკითხა ხალხს: მითხარით ვისაც რა საჩივარი გაქვთ მამასახლისზე ან სხვა ვისმეზედ. ხალხმა უპასუხა: მამასახლისმა ბევრს უდანაშაულოთ გვცემა, ბევრს არა-საჭიროებელი სამსახურს გვაკისრებს, როგორც მაგალითათ „სტრაჟნიკებისთვის“ წყლის ამოტანა, მათივე ცხენების ძოვება მინდორში და სხვა, შემდეგ ამისა, ამ დღეებში კომლზე ათი შაურის კრეფა დაიწყო მთელ სოფელში და არ გვითით, რათ უნდა ეს ფული, მაზრის უფროსმა სოფლის რწმუნებულებს ჰკითხა და მათაც დაამოწმეს გლეხების ნათქვამი. გამოირკვა, რომ მამასახლისს თავისი ჯიბის გასასქელებლათ შეეწერა ეს ფული.

შემდეგ ერთმა გლეხმა, სანდრო დავითაშვილმა გამოუცხადა მაზრის უფროსს: ადგილობრივი მღვდელი, მამა ბოიდაშვილი ძალიან უსამართლოთ გვექცევა, უკანასკნელი ერთი კოდი პური წამართვა და მით შვილები მშივრები დამიტოვა. ამაზე კაწერა ბ-ნი მაზრის უფროსი: რათ სთქვი შვილები მშივრები დამიტოვა მღვდელმაო, შემდეგ ამისა წინადადება მისცა ხალხს მღვდელს მოერიდეთო. ხალხს კიდევ ბევრი საჩივრები ჰქონდა მღვდელზე და მამასახლისზე, მაგრამ რა ნახეს, რომ დავითაშვილს მართლის თქმა არ მოუსმინეს, ადარავერი სთქვეს, მხოლოდ ერთმანეთს შესჩივლეს „სტრაჟნიკები“ რა გვამტყუნოთ, რაცა „ნაჩალნიკმა“ არ შეისმინა ჩვენი თხოვნაო. შემდეგ ამისა მაზრის უფროსმა გამოუცხადა ხალხს „ამ სამი დღის შემდეგ ჩამოვა თქვენთან ახალქალაქის ნაწილის ბოქაული და ვისაც რა საჩივრები გაქვთ მამასახლისზე ან მღვდელზე ჩააწერინეთ, ის მე გადმომცემს და მე კიდევ გუბერნატორს ვაცნობებო.

მართლაც, ფერისცვალობა დღეს ჩამოვიდა ბოქაული ბ-ნი ციციშვილი. ხალხი უკვე შეგროვილიყო, პირველათ სოფლის კანცელარიაში შევიდა, სადაც მამასახლისი და მღვდელი ბოიდაშვილი იყვენ და მათთან მოლაპარაკების შემდეგ გამოვიდა ბოქაული და მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვებით: „მე გავიგე, რომ თქვენ ეკლესიაში არ დადიხართ საზიარებლათ და არც ღმერთი გწამებიათ, იცოდეთ, სულ ამას ბრალდია თქვენ, რომ დარიბები ხართ და თუ შემდეგშიაც არ ივლით ღმერთს უფრო კადრებდებით და შეიძლება შიმშილითაც დაიხოცოთო. ერთმა გლეხმა, დათა თაბორიძემ უპასუხა: „ჩვენ ძალიანაც გვწამს ღმერთი და ზიარებაც, მაგრამ რა ვქნათ, ეკლესიაში როგორ შევიდეთ როცა ნახევრათ ტიტვლები ვართ და მუდმივ შიმშილით გვწვის და ჩვენი მღვდელი კი, რომელიც ეკლესიაში გვიქადაგებს: ორი პერანგი რომ გქონდეთ, ერთი სხვას მიეციო, ამ თითო პერანგსაც გვხდის და უკანასკნელ ლუკმასაც გვტაცებსო. ამ სიტყვებზე ბ-ნი ბოქაული ძალიან გაჯავრდა... ამის შემდეგ ბოქაულმა წინადადება მისცა ხალხს: ექვსი კაცი აირჩიეთ, შემოვიდენ არჩეული კაცები კანცელარიაში, მღვდელიც იქ არის და მოურიგდენო. ხალხმა აირჩია ექვსი კაცი. არჩეულმა კაცებმა განუცხადეს: ჩვენ ითხოვთ და ექვსი კოდის მეტს ვერ მოგცემთ, როგორც შარშანაო. მღვდელი წამოხტა და შეუძახა: „თქვენ რომ ერთობის დროს სასოფლო მამული გაყიდეთ სამოც თუმნათ, იმ ფულით იარაღი იყიდეთ და ხან ვის მიუშვერდით, უნდა მოგკლათ და ხან ვისათ, ძალა გქონდათ და ამისთვის სჩადიოდით ასე, ეხლა ჩემი ვალიც დადგა, თუ ორას სამოც კოდს არ მომცემთ, ძალით წაგართმევთ „სტრაჟნიკების“ დახმარებითო. მე თქვენი სიღარიბე სულაც არ მეკითხებაო. ამის შემდეგ არჩეულმა კაცებმა კანცელარია დასტოვეს, ცოტა ხანს კიდევ ითათბირეს ბოქაულმა, მღვდელმა და მამასახლისმა...

მეორე დღეს დაიწყო მღვდელმა პურის ძალით კრეფა „სტრაჟნიკების“ შემწეობით. ბევრი არა საკადრისი მოქმედება ჩაიდინეს. აი ორიოდე ფაქტიც: ილიკო კზირიშვილს გაუტეხეს კიდობანი და ისე ამოიღეს პური, ავთომეთოვ ქალს მიტო ბოკვლიდის ცოდნ ერთი კოდი პური ჰქონდა და ის იყო წისქვილში უნდა გაეგზავნა რომელსაც წაართვეს. სულით ავადმყოფ ქალს სანდრო ენუქიძის ცოდნ სადღაც ეშოვა ერთი ჩანახი პური. ეს შეიტყო მღვდელმა: მიუვარდა მას მოსტაცა და წაიღო სახლში და სხვა..

**ივანიკა.**

—

**ს. აცანა** (გურია). 19 აგვისტოს გაძარცვეს დაბნეულიდან აცანაში მომავალი ორი ჩალვადარი. ჩალვადრებს უვარი ჩაეტანათ დაბნეულში და სოფელში ბრუნდებოდენ. ბოროტმოქმედებმა მათ წაართვეს 7 მ. გაძარცულნი მამასახლისთან მივიდენ და შეულა სთხოვეს, მაგრამ ვინაიდან აცანის საზღვრებში არ მომხდარა ხსენებული გაძარცვა, მამასახლისმა ისინი ბოქაულთან გაისტუმრა. ბოქაულის განკარგულებით დაბნეულში შეკრებილ იქნა სამი საზოგადოება—აცანა, დაბნეული და ნიგოითი, რომელთაც წინადადება მისცეს გაეცათ თვალმისხმელნი. საზოგადოებები რამდენიმე დღეს აშოთეს დატუსაღებული.

**მეგობარი.**

—

**ზემოხეთის საზოგადოება** (გურია). თუმცა გურია სწავლა-განათლების საქმეში მოწინავე მაზრათ ითვლება, მაგრამ სამწუხაროთ აქაც შეხვდებით ისეთ კუთხეს, რომელიც განათლების მხრივ ძალიან უკან სდგას და ერთი რიგიანი შკოლაც არ მოეპოვება. ასეთ კუთხეთ შეიძლება ჩაითვალოს ზემოხეთის საზოგადოებაც. 2—3 წლის წინათ აქაურებმაც მოჰკიდეს ხელი სწავლა-განათლების საქმეს და 200 დე კომლმა ერთ თავის კრებაზე გამოიტანა შემდეგი განაჩენი: აავონ ორ კლასიანი შენობა აგრონომიული განყოფილებით და რადგანაც ასეთი განყოფილებიანი შკოლა რიცხვით ნაკლებია, ამიტომ შკოლას მოუჩინონ ისეთი ადგილი, სადაც შეიძლება მეურნეობამ იხეიროს და დანარჩენი მახლობელი საზოგადოებებიც დაწვდენ. განაჩენის სისრულეში მოსაყვანათ არჩეულმა კომისიამ საქმეს ფხიზლათ მოჰკიდა ხელი: 200 წევრი აიყვანა 365-ზე; შეიძინა 10 ქცევა მიწა შკოლისთვის, 5 ქცევა კი ბაზრისა და იარმარკისათვის; შკოლის შენება დაიწყო გასული წლის მარიამობისთვეში და ადრე მომავალში მზათ იქნება მშვენიერი თლილი ქვის შენობა ოთხი ზალით და ოთხი ოთახით; დროებით სწავლა მოათავსა ხის შენობაში, რომელიც განთავისუფლების შემდეგ გადის საქალებო შკოლათ (საქალებო შკოლასთან იქნება პროფესიონალური განყოფილებაც); მთავრობის ნებართვით ააგო 100 კარავი იარმარკისათვის, რომლის შემოსავალი დანიშნულია შკოლის სასარგებლოთ (წელს 25 ივლისს გარდაცვალება შკოლას იარმარკის გამგეობისაგან შემოსავალი იარმარკის 298 მ. 10 კ.); გასცა 25 საჟენი მიწა, რომლიდან შემოდის შკოლას არშინ მიწაზე თითო აბაზი; გამოიყვანა მშვენიერი წყალი და სხვა. უეჭველივე ეს გაშენებულია საჯამის სერზედ, რომელიც აკავშირებს რამოდენიმე საზოგადოებებს ან უკეთ რომ ვსთქვათ, მთელ საჯავახოს მხარეს. საუცხოვო მდებარეობა აქვს საჯამის სერს: თითქოს კალთებ ამაღლებულ გორაკს ერთი მხრით ჩამოუდის მდ. „ხევის წყალი“, და მეორე მხრით ცივი „ნახორნაჭუა“; მთის ცივი წყარო და მსუბუქი ჰაერი, რამოდენიმე ასი მუშის გამოსვლა სახელხო საქმეზედ და მათი მუშური სიმღერა სიცოცხლეს ჰფენს აქაურობას.

ჯერჯერობით სწავლა სწარმოებს ხის შენობაში და მას პატრონობს სასულიერო მთავრობა, რომელსაც გამოგზავნილი ჰყავს ორი მასწავლებელი ხაზინის ჯამაგირით. მოსწავლეთა რიცხვი 150 აღემატება.

საზოგადოებას ითხოვნა და „პრიგოვორი“ სამინისტრო უწყებაში აქვს გაგზავნილი, რომლიც პირდება სავაჟო სასწავლებლისთვის 1170 მან., საქალებოსთვის 720 მან., აგრონომიულისა და პროფესიონალური განყოფილებებისთვის სამ მეოთხედ ნაწილს ყოველ ხარჯებისას ყოველ წლიურათ. შენობების დასამთავრებლათ კი ერთდროულათ 1000 მ. თუ რომელ უწყებას დარჩება სკოლა, ჯერ ამაზე ვერას ვიტყვით.

**ხან. ხერელი.**

# მუშათა შორის

—

**ძანსული** (ართვინის ოლქი). აქ არის სპილენძის სადნობი ქარხანა. ეს ქარხანა ეკუთვნის ინგლისელების ასოციაციას და როგორც კულტურული ხალხის წარმომადგენელნი „კულტურულად“ ეწევიან ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციას. ამ ქარხანაში, მადარეებში, გზაში თუ სადაცაა, დახლოვებით 3000 კაცამდე მუშაობს, რომლებიც აუტანელ პირობებში არიან.

მუშაობა განისაზღვრება 10 საათით. 7-დან 6-დის ერთი საათის დასვენებით. ამათში ვინც რომ სმენაზე მუშაობს, კიდევ უარეს მდგომარეობაში არიან. 12 საათის განმავლობაში არავის ნება არა აქვს რომ დაისვენოს. ხელფასი კი არ აღემატება 80 კ. სანოვაგე საგრძნობლად ძვირია.

მიზეზი ამათი ხელფასის სიმცირისა ის არის რომ ხსენებულ კაპიტალისტების საბედნიეროთ მუშათა დიდი უმრავლესობა ოსმალოს ქვეშევრდომ ხალხისგან შესდგება (თათრებისაგან) რომლებიც სასტიკი კონკურენტია შეგნებული მუშების. ამათთვის სულ ერთია ოთხ აბაზათ კი არა საქმე რომ დარჩეს, სამ აბაზათაც თანახმა გახდებიან.

რომ შეეკითხოთ რატომ ასე მცირე ხელფასს სჯერდებით გიპასუხებენ: ჩვენთვის ესეც კმარა. ოსმალეთში მუშა დღეში სამ ყურუშად მუშაობს. ოთხი აბაზი კი ჩვენებურად ათ ყურუშს უდრისო.

ამათ შორის, რასაკვირველია, ჩვენებური მუშებიც ირევიან, აბა ამათ ხომ მეტს არავინ მისცემს?

ეს ხომ ასეა. ეხლა რამდენი უსამართლობა ხდება იმის აღწერა შეუძლებელია. ცოტა რამე უმნიშვნელო შეცთომაზე მუშას, რომელიც ასე მცირე ხელფასს ღებულობს მანეთით—ორი მანეთით აჯარიმებენ. რომ ენა დასძრას კიდევ უარესი, ანგარიშ გაუსწორებენ და მიბრძანდიო ეტყვიან.

გარდა ამისა მედიცინურ დახმარებაზე დაშარაკიც მეტი იქნება. ჩვენი ექიმი ბ-ნი დნიშერი ხშირად აგათმყოფს მათრახით და გინებით წამლობს. (შეიძლება აქ მკითხველი შეეჭვდეს მაგრა მოწმეთ თვით ფელდშერი მაკაროვია) რომელიც გაკვირვებული უყურებდა ახალ მოვლენილ ექიმის მოქმედებას, როდესაც ის ავათმყოფ თათრებს მათრახით უმასპინძლდებოდა.

მეორედ, ხელოსანი რუსი, როდესაც ექიმს მედიცინურ დახმარებას სთხოვდა, დახმარების მაგიერ სილა გაარტყა მიზეზი გინ იცის? ესეც არ აკმარა და იმავე დღეს, „რასჩოტი“ მისცემინა

**ი. შეითან-ოღლი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

(ბათუმელ მკითხველ საზოგადოების საყურადღებოთ).

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ეს წერილი დაგვიბეჭდოთ „ჩანგის“ მახლობელ ნომერში.

ორი წელი უკვე არის, რაც ჩვენ ბათუმის რაიონში ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას მოვკიდეთ ხელი. ამ ნიადაგზე მრავალი დაბრკოლებები გვეღობებოდა წინ, მაგრამ რამდენათაც შესაძლებელი იყო ეს ჩვენმა მეცადინეობამ სძლია და დღემდე ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე ასე თუ ისე შედარებით, ბათუმში, სასურველ პირობებში არის.

გაზეთ „ჩანგის“ რედაქციას ბათუმში თვიური ხელის მომწერლები ჰყავს ას ორმოც და ათი. ამას გარდა დღიურათ იყიდება 80—90-მდე. „დროება“ 35—45 ცალამდე; „ზაკავკაზიე“ 40—45 ცალამდე; „მოამბე“ და „სამშობლო“ 110 ცალი; „ვუშაგი“ 60—80 ცალი „...ია“ 50 ც.; „ნოვ. ტიფ.“ 40 ც.

მკითხველი საზოგადოების ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რაც ჩვენ გვაიძულებს ამის საჯაროთ გამოცხადებას და მოქმედების შეწყვეტას. ჩვენ ყოველი ზომა გვქონდა მიღებული, რომ რედაქციებში თავ-თავისი ხვედრი ანგარიშები თავის დროზე მიგვეღო, რომლის არსებობაც ამ ანგარიშზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მეტათ გამწვავდა საქმე, იყო შემთხვევები, რომ თავის დროზე ხვედრი ანგარიშების გაუგზავნელობის გამო, გაზეთები ვეღარ მივიღეთ, რომელმაც დაწყებული საქმის მსვლელობა შეაფერხა.

ჩვენ ამაზე ბაასს არ დავიწყებთ, თუ რამდენათ საზარალოა ასეთი გარემოება იმ მკითხველი საზოგადოებისათვის, რომლისთვინაც ეს ჟურნალ-გაზეთებია საჭირო. მხოლოდ ვიტყვით, რომ ჩვენ ამაში ბრალი არ მიგვიძღვის, მაგრამ ამავე დროს ხაზ-გასმით უნდა აღვნიშნოთ მკითხველი საზოგადოების საყურადღებოთ ის გარემოება, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა საქმე.

თვიურ ხელის მომწერლებს ხვედრი ფული აუცილებლათ წინდაწინ უნდა გადაეხადათ, მაგრამ ჩვენ ხანდისხან შეძლების და გვარათ ვაქცევდით ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ასე თუ ისე შესაძლებელი გაგვეხადა მკითხველისათვის გაზეთის შეძენა, რადგან უფრო ღარიბ ხალხთან გვქონდა საქმე. სადაც შეიძლებოდა წინდაწინ ვიღებდით და სადაც არა, თვის გათავებამდე მაინც. ამით ჩვენც საქმე დაუბრკოლებლათ მიგვყავდა, მაგრამ ამ ზოგიერთმა ხელისმომწერლებმა და დღიურათ გაზეთების მყიდველებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და აქვთ თუ არა, თავის დროზე ხვედრი ფულის გადახდაზე უარს ამბობენ, რამაც ჩვენ საშუალება მოგვისპო თავის დროზე ხვედრი ანგარიში რედაქციებისათვის გაგვეგზავნა. ჩვენ რაც შეიძლებოდა ამას ფრთხილათ ვექცეოდით, ისინი კი, თითქმის დიდი ნაწილი ხელისმომწერლებისა და სხვა ხან თანახმა იყვენ გაზეთის შეწყვეტისა ხან კი არა. ჩვენ კი აქამდე, როგორც იყო, მოვიყვანეთ, აქედან კი, რაკი ჩვენ არაფერი გვაქვს დასამატი, რომლითაც განვაგრძოთ მოქმედება და არც რედაქციებს შეუძლიათ, ჩვენი აზრით, ხვედრი ანგარიშების გაჩერება, იძულებული ვართ გამოვაცხადოთ ამით, რომ პირველ სექტემბრიდან გაზეთის გავრცელების საქმეს თავი უნდა გავანებოთ და ეს იცოდენ ყველამ, რადგანაც ეს მაინც ასე ხდება: ხან გვეგზავნება გაზეთები და ხან კი არა, ხვედრი ანგარიშების გაუგზავნელობის გამო.

ამასთანავე, ვსთხოვთ იმათ, ვისაც რაიმე ანგარიში აქვს ჩვენთან შემოსატანი შემოიტანონ თავის დროზე.

აგრეთვე ვსთხოვთ სხვა რედაქციებსაც უმთავრესი აზრი ამ წერილისა გადაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში.

პატივისცემით: **გიორგი მახაკოს ძე მახარაძე** და **პავლე დ. სამსონია**.

—

„ჩანგის“ მე 41 ში მოთავსებულია წერილი „გუტენბერგის“ სტამბის შესახებ, წერილის ავტორს მე ამოუღივარ ნიშანში და ჩემი პიროვნების შელახვას ლამობს. რადგან მის მიერ წამოყენებული ბრალდებანი ერთავათ ყალბია, ამიტომ ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში მედიატორებათ ვნიშნავ ივ. ძ—ლს და იოსებ ფურ-ძეს. ვადას ვაძლევ ამ დღიდან წერილის დასტამბვისა ხუთ დღეს, მედიატორეთა განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს გაზეთში.

**გიორგი** იოარ. **ესაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ლ. დადიშკელიანი.**

## მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78/79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).